სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

---11--- აპრილი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/66

,,2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №01-02/197 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 ივლისის №263 დადგენილების, ,,2023 - 2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 15 აგვისტოს №76/ნ ბრძანების, ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის № 06-01/127 დადგენილების, ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №01-02/197 ბრძანების, დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსის ი. ქერქაძის 2025 წლის 07 აპრილის №384649 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №01-02/197 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტით გადანაწილებული საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967 500 ლარის ფარგლებში) მიმღები ბსუ-ს სტუდენტთა კონტინგენტი - 430 ადგილი შეიცვალოს ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამული დაფინანსების (967 500 ლარის ფარგლებში) მიმღები, ბსუ-ს ბაკალავრიატის და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტიგენტი, სულ 430 ადგილი გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-73;

ბ) ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-43;

გ) მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-49;

დ) აგრარული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-45;

ე) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-79;

ვ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-48;

ზ) ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-30;

თ) ქიმიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-8;

ი) ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-7;

კ) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე-18;

ლ) სკოლამდელი განათლება-30.''

2. წინამდებარე ბრძანება გაიგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაშს), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ბსუ-ს ფაკულტეტებს.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი, **ტიტე არაშიძე**